**დანართი 2: ბარათები მე–3 სავარჯიშოსთვის: „6 ნაბიჯი ანგარიშის გასახსნელად“**

| | | |
|---|---|---|
| 1 | | მშობლებთან ერთად განიხილე ანგარიშის გახსნის საკითხი. |
| 2 | | ესტუმრე რამდენიმე ბანკს, გაეცანი სხვადასხვა ტიპის შემოთავაზებას და ერთმანეთს შეადარე ისინი. |
| 3 | | გაეცანი სასურველი ანგარიშის ყველა პირობას. ყურადღებით შეავსე განაცხადი და კარგად წაიკითხე ხელშეკრულება. დასვი რაც შეიძლება მეტი შეკითხვა! |
| 4 | | განათავსე თანხა ანგარიშზე. |
| 5 | | თუ ბანკი საგადახდო ბარათს გადმოგცემს, მოაწერე ბარათის უკანა მხარეს ხელი, გაააქტიურე და შეცვალე პინ–კოდი, შემდეგ კი დახიე ის ფურცელი, რომელზეც პინ–კოდი იყო მითითებული. დაიმახსოვრე, რომ პინ–კოდი არავის უნდა გაანდო! |
| 6 | | თვალყური ადევნე შენს ანგარიშზე თანხების მოძრაობას. თუ უცხო ტრანზაქციებს შენიშნავ, დაუყოვნებლივ აცნობე ბანკს. არავის გაანდო შენი საბანკო ბარათის დეტალები! |